# „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" იმერეთის სამოქალაქო საბჭოების 2019-2020 წლების მუშაობის შედეგები

ქუთაისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გამართვა, წყალტუბოს, ტყიბულის სოფლებში სასმელი წყლის მიწოდებისა და გარე განათების ბოძების მოწესრიგება, გზის საფარის რეაბილიტაცია და დაგება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, - ეს მცირე ჩამონათვალია იმ განხორციელებული პროექტებიდან, რომელთა ადვოკატირებაც შესაბამისი მუნიციპალიტეტების წინაშე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" სამოქალაქო საბჭოები წევრებს უკავშირდება. 2019 წელს ჩვენი საბჭოების წევრებმა იმერეთში 38 პრობლემა მოიკვლიეს, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა კი 2020 წელს 15 მათგანი მოაგვარეს მუნიციპალური ბიუჯეტების რესურსებით.

სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად:

- ქუთაისში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მოწესრიგება დაიწყო - მუნიციპალიტეტმა 36 ახალი ავტობუსი შეიძინა, მოძრაობის განრიგი იცვლება, თავად სატრანსპორტო საშუალებები კი შშმ პირებისთვის ადაპტირდება, დამატებით იგეგმება ახალი ავტობუსების შემოყვანაც;
- ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მოწესრიგდა დაზიანებული გზის საფარი;
- ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩაზე, ხმოვანი შუქნიშანი დამონტაჟდა;
- ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, N15 და N21 კორპუსებთან მისასვლელი გზა მოწესრიგდა;
- ქუთაისში, კუპრაძის ქუჩასა და რკინიგზის საავადმყოფოსთან გამავალი სანიაღვრე არხი გაიწმინდა;
- ტყიბულის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების აღმზრდელთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა;
- ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში გარე განათების სისტემა მოწესრიგდა;
- ტყიბულის მუნიციპლიტეტის სოფელ მუხურის დასახლებაში გზის საფარის გარკვეული მონაკვეთები მოწესრიგდა და ამავე დასახლებაში ავარიული ელექტროგადამცემი ბოძები შეიცვალა;
- წყალტუბოში, ყოფილ პანსიონატ „სავანესთან" საფეხმავლო ბილიკი მოწესრიგდა და გარე განათება მოეწყო;
- წყალტუბოში N1 საჯარო სკოლისა და თერნალის დასახლების დამაკავშირებელი გზის საფარი მოწესრიგდა;
- წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩაზე გზის საფარი მოწესრიგდა;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონში წყლის მიწოდების სისტემის მოწყობა დაიწყო და გაიწმინდა წყლის რეზერვუარი;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზარათში წყლის სისტემის მოწესრიგება დაიწყო, მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალები და დაამონტაჟა.

# “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

## ქუთაისში

**საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მოწესრიგება დაიწყო**



# "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

## ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე
## მოწესრიგდა დაზიანებული გზის საფარი



# “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

**ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩაზე ხმოვანი შუქნიშანი დამონტაჟდა**



# “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ქუთაისში, კუპრაძის ქუჩასა და რკინიგზის საავადმყოფოსთან

**სანიაღვრე არხი გაიწმინდა**



# “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

## ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში გარე განათების სისტემა მოწესრიგდა



# “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის დასახლებაში

გზის საფარის გარკვეული მონაკვეთები მოწესრიგდა



# “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

**ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის დასახლებაში**

**გზის საფარის გარკვეული მონაკვეთები მოწესრიგდა**



# "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

## წყალტუბოში

**N 1 საჯარო სკოლისა და თერნალის დასახლების დამაკავშირებელი გზის საფარი მოწესრიგდა**



# “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

## წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩაზე
## გზის საფარი მოწესრიგდა

